

---

## სტუდენტური ფორუმი

### ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

თამარ კობახიძე\*

#### 1. შესავალი

1950 წელს ევროპის საბჭოს ფარგლებში ხელი მოეწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, რომელიც 1953 წელს შევიდა ძალაში. კონვენცია იურიდიულად სავალდებულო პირველი დოკუმენტია, რომელიც აწესრიგებს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მთელ სპექტრს. გარდა იმისა, რომ კონვენცია ითვალისწინებს ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კატალოგს, იგი აარსებს ამ უფლებების დაცვაზე კონტროლის მექანიზმს – ევროპულ სასამართლოს, რომელიც დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საერთაშორისო მექანიზმად მიიჩნევა.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ევროპული კონვენციით შექმნილი იყო ადამიანის უფლებათა დაცვის ორსაფეხურიანი სისტემა (ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და ევროპული სასამართლო), 1998 წელს კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად, რაც კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმას ითვალისწინებდა, მოქმედებს ახალი, უკვე მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

ევროპული კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმის აუცილებლობა განაპირობა 1980 წლიდან კონვენციის საზედამხედველო ორგანოებში შეტანილი განაცხადების რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ, რაც იწვევდა სამართალწარმოების პროცესის გაჭიანურებას და, ფაქტობრივად, ქმნიდა ამ ორგანოთა ფუნქციონირების პარალიზების რეალურ საფრთხეს.

#### 2. სასამართლოს სტრუქტურა

სასამართლოში შესულ განაცხადს პირველ რიგში რეგისტრატურა იღებს, რომელიც ახდენს მის რეგისტრაციას. აქვე მოწმდება, თუ რამდენად დაცულია განაცხადის ფორმა. რეგისტრაციის შემდეგ განაცხადი ერთ-ერთ განყოფილებაში იგზავნება.

სასამართლოს რეგლამენტით გათვალისწინებულია სასამართლოს მთელი შემადგენლობისაგან ოთხი განყოფილების შექმნა 3 წლის ვადით. განყოფილებების საქმიანობას მათი თავმჯდომარეები წარმართავენ. ორი განყოფილების ხელმძღვანელი ამავე დროს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეა. თითოეული განყოფილება არის მხოლოდ ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი დანიშნულებაა, კომიტეტისაგან საქმის მიღებისთანავე შვიდი მოსამართლისაგან ჩამოაყალიბოს პალატა, რომელიც ამ საქმეს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

კომიტეტები სასამართლოს მნიშვნელოვანი რგოლია. თითოეული კომიტეტი სამი მოსამართლისაგან შედგება და 12 თვის განმავლობაში ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა, გადაწყვიტოს, რამდენად აკმაყოფილებს მის

---

\*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

განყოფილებაში შემოსული განაცხადი დასაშვებობის კრიტერიუმებს. თუ კომიტეტი საკითხს დადებითად გადაწყვეტს, იგი ამზადებს დასკვნას, რომელსაც საქმესთან ერთად უგზავნის პალატას. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადი დაუშვებლად ცხადდება.

განაცხადის არსებითად განხილვა შვიდი მოსამართლისაგან შემდგარი პალატების პრეროგატივაა. თითოეული პალატა განსაზღვრული განყოფილების ფარგლებში იქმნება და მას ამ განყოფილების თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. პალატის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს საქმეში მონაწილე სახელმწიფოდან არჩეული მოსამართლე. თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია საქმის განხილვაში მონაწილეობა, შესაბამის სახელმწიფოს წარმოადგენს მის მიერვე არჩეული პირი, რომელსაც *ad hoc* მოსამართლეს უწოდებენ. პალატა უფლებამოსილია, არსებითად განიხილოს ნებისმიერი სახელმწიფოს, კერძო პირის, პირთა ჯგუფის ან არასამთავრობო ორგანიზაციის განაცხადი. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოდ ჩაითვლება, თუ:

- საქმეში მონაწილე მხარეები უარს აცხადებენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემაზე;
- გადაწყვეტილების გამოტანიდან 3 თვის ვადაში მხარეებმა არ მოითხოვეს მისი დიდ პალატაში გასაჩივრება;
- დიდი პალატის კოლეგიამ არ დააკმაყოფილა მხარეთა მოთხოვნა საქმის მისთვის გადაცემის თაობაზე.

რაც შეეხება დიდ პალატას, იგი უმაღლესი ინსტანციაა. დიდი პალატის შემადგენლობა განსაზღვრება ჩვიდმეტი მოსამართლით, რომელთა უფლებამოსილების ვადა სამი წელია. დიდი პალატის შემადგენლობაში გარდა *ex officio* წევრებისა, სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და განყოფილებების თავმჯდომარეები შედიან, აგრეთვე – რეგლამენტის საფუძველზე არჩეული სხვა მოსამართლეები.

დიდი პალატა საქმეებს განიხილავს, პირველ რიგში, რომელიმე პალატის მიერ მისთვის იურისდიქციის დათმობის შემთხვევაში. ეს ხდება ძირითადად მაშინ, როდესაც რომელიმე პალატა საქმის განხილვისას აწყდება კონვენციის განმარტების პრობლემას, ან თუ მისი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ამ დროისათვის არსებულ პრაქტიკას.

### **3. მოსამართლეთა სტატუსი**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წევრების რაოდენობა უთანაბრდება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობას. დღეისათვის ეს ციფრი შეადგენს 45-ს. შესაბამისად, ყოველი სახელმწიფო წარმოდგენილია ერთი მოსამართლით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ესა თუ ის მოსამართლე მოცემული სახელმწიფოს ინტერესებს წარმოადგენს სასამართლოში. ყოველი მოსამართლე ვალდებულია, სამსახურებრივი მოვალეობა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად შეასრულოს.

როგორც ევროპული კონვენციის 21-ე მუხლი ადგენს, მოსამართლეები უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი ზნეობრივი თვისებებით და ჰქონდეთ მაღალი თანამდებობის დაკავებისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია, ან უნდა იყვნენ აღიარებული კომპეტენციის იურისტები.

კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, ევროპული სასამართლოს წევრებს ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა, მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ წარმოდგენილი სამი კანდიდატიდან. როგორც წესი, მოსამართლეობის კანდიდატი მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეა, თუმცა დასაშვებია, რომ სახელმწიფოს მიერ წარდგენილი კანდიდატი იყოს კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე.



განმცხადებლად ზოგჯერ მცირეწლოვანიც კი გვევლინება, ანუ სრულწლოვანება არ არის მომჩივანისათვის აუცილებელი პირობა. აუცილებელია, რომ უშუალოდ განმცხადებლის უფლება იყოს შელახული;

მეორე კატეგორიას პირთა ჯგუფი მიეკუთვნება. როგორც წესი, ამ დროს სახეზეა ერთი და იმავე, იდენტური, ფაქტების საფუძველზე აღძრული საქმე, როგორც, მაგალითად, მშობელთა ჯგუფის მიერ შეტანილი განაცხადი თავიანთი შვილების განათლების ფორმის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით. როდესაც სარჩელი პირთა ჯგუფს შეაქვს, აუცილებელია, რომ ჯგუფში შემავალი თითოეული პირი კონვენციის 34-ე მუხლის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს;

მესამე კატეგორიას არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორცაა, მაგალითად: პროფკავშირები, კომპანიები, ამხანაგობები და სხვა იურიდიული პირები. აუცილებელია, რომ სახეზე იყოს სახელმწიფოს ან მისი ორგანოების მიერ თვით ამ ორგანიზაციის, და არა მისი რომელიმე წევრის, უფლების დარღვევა.

გარდა იმისა, რომ სასამართლო განიხილავს ინდივიდუალურ და სახელმწიფოთაშორის განაცხადებს, მას შეუძლია, აგრეთვე, საკონსულტაციო დასკვნების წარმოდგენა, რისი მოთხოვნის უფლებაც მხოლოდ მინისტრთა კომიტეტს აქვს. საკონსულტაციო დასკვნები შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ დიდი პალატის მიერ და მხოლოდ კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით. დიდი პალატა ამგვარ გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით წყვეტს. ამავე დროს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს, დასკვნასთან ერთად წარმოადგინოს საკუთარი განსხვავებული აზრი. ეს დებულება არა მარტო საკონსულტაციო დასკვნებზე, არამედ ნებისმიერ სარჩელთან დაკავშირებით გამოტანილ სხვა გადაწყვეტილებებზეც ვრცელდება.

## **5. განაცხადის მიღების პირობები**

განაცხადის მიღების კრიტერიუმები კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვრება. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულია სასამართლოს უფლება – სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე უარყოს ამ მუხლის საფუძველზე მიუღებელი განაცხადი. ამ მუხლის პირველი პუნქტი ადგენს:

„სასამართლოს შეუძლია მიიღოს საქმე მხოლოდ მას შემდეგ, რაც, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესების თანახმად, ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება ამოწურება და, ამასთან, ექვსი თვის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული“.

ამ მუხლის პირველივე პუნქტი მოითხოვს განმცხადებლის მიერ ყველა მისთვის ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალების ამოწურვას, რაც გულისხმობს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სასამართლო საშუალებებს, რის უფლებასაც მომჩივანს ანიჭებს მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობა. როდესაც სახელმწიფო ამტკიცებს, რომ განმცხადებელს არ ამოუწურავს ყველა შიდასახელმწიფოებრივი ინსტანცია, მასვე აწევს ტვირთი, დაუმტკიცოს სასამართლოს ამ ინსტანციების ეფექტიანობა.

რაც შეეხება ექვსთვიანი ვადის მოთხოვნას, ამ ვადის დინება იწყება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან, ე.ი. იმ დღიდან, როდესაც განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა ბოლო ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

ამ მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტები ვრცელდება როგორც სახელმწიფოთაშორის, ისე ინდივიდუალურ განაცხადებზე, მაშინ, როცა დანარჩენი პუნქტები მხოლოდ ინდივიდუალურ განაცხადებს ეხება. 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

„სასამართლო არ მიიღებს 34-ე მუხლის მიხედვით შემოსულ ინდივიდუალურ საქმეებს,

თუკი:

ა) იგი არის ანონიმური;  
ბ) არსებითად წარმოადგენს იმავე საკითხს, რომელიც უკვე განხილულია სასამართლოს მიერ ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას“.

პირველი მოთხოვნაა, რომ განაცხადი არ იყოს ანონიმური, ანუ იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს სათანადო ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ და უნდა იყოს ხელმოწერილი. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უბრალოდ ვერ შეძლებს მომჩივანთან დაკავშირებას და გამოაცხადებს მის საქმეს დაუშვებლად; ბ) ქვეპუნქტი კი გამოხატავს პრინციპს, რომლის მიხედვითაც ერთი და იმავე საკითხის განხილვა ორჯერ არ უნდა მოხდეს.

მოცემული მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ სასამართლო დაუშვებლად გამოაცხადებს ინდივიდუალურ განაცხადს, შემოსულს 34-ე მუხლის მიხედვით, თუკი მიიჩნევს, რომ განაცხადი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად უსაფუძვლოა, ან განმცხადებელი ბოროტად იყენებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

შეუთავსებლობის კრიტერიუმი გამოიყენება მაშინ, როცა მიიჩნევა, რომ ამა თუ იმ საქმის ობიექტი არ შედის სასამართლოს კომპეტენციაში. ამ პუნქტის მიხედვით, საქმის მიუღებლობის მეორე საფუძველია „აშკარა დაუსაბუთებლობა“. ამ კრიტერიუმთან საქმე გვაქვს, როცა განაცხადი არ შეიცავს კონვენციის დებულებათა ხელყოფის დამადასტურებელ რაიმე მონაცემს. რაც შეეხება ამ პუნქტის მესამე პირობას – „უფლების ბოროტად გამოყენებას“, – ძირითადად, იგი მაშინ გამოიყენება, თუ განმცხადებელმა უპასუხოდ დატოვა სასამართლოს მოთხოვნები მისი საქმის განხილვასთან დაკავშირებით, ან, თუ სახეზეა განმცხადებლის მიერ გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებები მოპასუხე სახელმწიფოს მიმართ.

## **6. სამართალწარმოების პროცედურა**

სასამართლოს შეუძლია როგორც სახელმწიფოთაშორისი, ისე ინდივიდუალური განაცხადების მიღება. თითოეული მათგანის სამართალწარმოების პროცედურა თითქმის ერთნაირია. ყოველი ინდივიდუალური განაცხადი რეგისტრაციისთანავე გადაეცემა სასამართლოს ერთ-ერთ განყოფილებას. სწორედ ამ განყოფილებიდან მისი თავმჯდომარის მიერ ინიშნება მოსამართლე-მომხსენებელი, რომელიც წინასწარ ამონმებს შემოსულ განაცხადს და წყვეტს მისი შემდგომი განხილვის საკითხს. როგორც წესი, სარჩელი მისი მიღება-არმიღების საკითხის გადასაწყვეტად სამი მოსამართლისაგან შემდგარ კომიტეტს გადაეცემა. მისი გადაწყვეტილება კონსენსუსით, ანუ ფაქტობრივად ერთხმად, მიიღება და საბოლოოა. თუმცა იმავე მოსამართლე-მომხსენებელს შეუძლია, ზოგიერთ შემთხვევაში საქმე პირდაპირ შვიდი მოსამართლისაგან შემდგარ პალატას გადაუგზავნოს და მისი მიღება-არმიღების საკითხის გადაწყვეტა, ისევე, როგორც შემდგომში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა, მასვე დააკისროს. პალატას განაცხადი იმ შემთხვევაშიც გადაეცემა, თუ კომიტეტის წევრი მოსამართლეები საერთო პოზიციამდე ვერ მივიდნენ განაცხადის მიღება-არმიღების საკითხის გადაწყვეტისას, აგრეთვე, თუ მოცემული სარჩელი სახელმწიფოთაშორისი დავის შემცველია და, რა თქმა უნდა, თუ კომიტეტმა განაცხადი დასაშვებად გამოაცხადა.

სასამართლოში განსახილველად მიღებული განაცხადების არსებითად განხილვა შვიდი მოსამართლისაგან შემდგარი პალატების პრეროგატივაა. საქმის წარმოების შემდგომ ეტაპზე ხდება უკვე მოპასუხე სახელმწიფოს ჩართვაც, რომელსაც ეცნობება მის წინააღმდეგ არსებული

საჩივრის შესახებ და ეძლევა საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალება. ამ დროს მხარეებს ეკისრებათ დამატებითი მტკიცებულებების ან წერილობითი განმარტებების წარმოდგენის ვალდებულება. სამართალწარმოების ამავე ეტაპთან მჭიდროდაა დაკავშირებული დავის მორიგებით დასრულების საკითხიც. სასამართლო აძლევს მხარეებს დავის ურთიერთმოლაპარაკების გზით მოგვარების საშუალებას. უფრო მეტიც, იგი მოლაპარაკებაში შუამავლადაც გვევლინება (კონვენციის 38-ე მუხლი). თუკი მორიგება მიღწეულია, სასამართლო ამოიღებს საქმეს სიიდან და შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტისა და მიღწეული მორიგების გამოცხადებით.

ევროპული სასამართლოს რეგლამენტი ითვალისწინებს საქმის როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით განხილვას. ზეპირი განხილვის დროს, რაც შედარებით იშვიათად ხდება, მხარეები უშუალოდ წარდგებიან სასამართლოს წინაშე. სასამართლო პროცესს შესაბამისი პალატის თავმჯდომარე უძღვევა. საბოლოო გადაწყვეტილება კი მოსამართლეებს ხმათა უმრავლესობით გამოაქვთ.

სასამართლოს ოფიციალური ენებია ფრანგული და ინგლისური, თუმცა მხარეს შეუძლია, ნებართვის საფუძველზე, საკუთარი სახელმწიფოს ოფიციალური ენა გამოიყენოს. მაგრამ ამ შემთხვევაში მთელი განცხადებებისა თუ ზეპირი გამოსვლების ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე თარგმნის პასუხისმგებლობაც მასზე გადადის.

საბოლოო გადაწყვეტილებას პალატები ხმათა უმრავლესობით იღებენ. როგორც აღინიშნა, მოსამართლეს შეუძლია, გადაწყვეტილებას საკუთარი განსხვავებული პოზიცია დაურთოს.

რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებების ხასიათს, აღსანიშნავია, რომ, კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, კონვენციის მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან კისრულობენ, შეასრულონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებანი. ევროპულ სასამართლოს შეუძლია დააკისროს მოპასუხე სახელმწიფოს ფულადი კომპენსაცია მიყენებული მატერიალური ან მორალური ზიანისათვის. სასამართლო მატერიალური თუ მორალური ზიანის განსაზღვრისას საკმაოდ ფრთხილია. ამიტომ ხშირად 41-ე მუხლით გათვალისწინებული „სამართლიანი კომპენსაციის“ პრინციპი შეიძლება მხოლოდ დარღვევის ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლოს. სასამართლოს განცხადებით, მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის ესეც საკმარისია.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე ზედამხედველობას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს. როგორც ნესი, მინისტრთა კომიტეტი სასამართლოს გადაწყვეტილებას გადასცემს მოპასუხე სახელმწიფოს წარმომადგენელს ევროპის საბჭოში. იგი მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე, წარმოადგინოს ინფორმაცია გადაწყვეტილების დროული შესრულების თაობაზე. თუ სასამართლოს გადაწყვეტილება შესრულებულია, კომიტეტი იღებს შესაბამის რეზოლუციას და ასრულებს საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტი უბრუნდება საქმეს და მონიტორინგის შემდგომ პროცედურებს ატარებს.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოს ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა, თუმცა სასამართლოში შეტანილ განაცხადთა დიდი რაოდენობა კვლავაც დიდ პრობლემად რჩება, რის გამოც სავარაუდოა, უახლოეს ხანში სასამართლოს ხელახალი რეფორმა განხორციელდეს.